21 ივნისს (3 ივლისს) 1868. № 25. მესამე წელიწადი.

დროება

ГАЗЕТИСЪ ВРЕМЯ

ГАЗЕТИСЪ ВРЕМЯ

ГАЗЕТИСЪ ВРЕМЯ

ГАЗЕТИСЪ ВРЕМЯ

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

	გაუგზავნელათ:
გაგზავნით ტფილისში	
და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ექვსის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: ტფილისი, 20 ივნისს. — ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლისაგან — ტფილისის უფროსი პოლიცმეისტრისაგან. — კორრესპონდენცია ჭუთაისიდგან. — პოლიტიკა: სერბია. — ოსმალეთი. — ტელეგრამმები. — ბენუას საქმის წარმოება. — ქერძოობითი განცხადება. — ფელეტონი: საზოგადო მიმოხილვა. —

ტ ფ ი ლ ი ს ი 20 ი ვ ნ ს ს.

დღეს შუადღის შემდეგ 7 საათზე ტფილისში მშვიდობით შემობრძანდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე და აგრეთვე ჩვენი ნამესტნიკი დიდი მთავარი მიხეილი. ხალხი და ამქრობა დახვდა ვერის ხიდს გალმიდამ მოყოლებული სიონის სობორომდის, დიდის აღტაცებითა. შუადღიდგან მოყოლებული ვიდრე ამ შუაღამემდის ტფილისის ქუჩები გაცხოველებულია ხალხითა. ვერიდგან დაწყობილი სიონამდის ყველა ქუჩებზე ბალკონები და დუქნები მორთული იყო დროშებითა, ფარჩეულობითა და ხალიჩებითა. დუქნებში იყო გამოწყობილი მორთულობით და ფერის შეხამებით ნახელოვნები; სიონის ქუჩა მოფენილი იყო მწვანე იონჯითა და კაკლის ფოთლითა.

უავგუსტესი სტუმარი ქალაქში შემოსელის შემდეგ პირდაპირ წაბძანდა სიონის საკათედრო სობორო'ში, სადაც მათს უმაღლესობას საქართველოს მეგზარხოსი სამღვდელოების კრებითა და სამხედრო და სამოქალაქო უფროსობა დახვდნენ. შემდეგ პარაკლისის მოსმენისა დაბრუნდნენ ნამესტნიკის სასახლეში.

სალამოს მთელი ქალაქი გაჩირაღდანებული იყო და ხალხს დიდი მხიარულება ეტყობოდა.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ინებებს ქალაქში დარჩენას ამ თვის 22-მდის. —

თფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლისამიერ.

ნებითა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის მამესტნიკისათა 15-სა მომავალსა ივლისსა იქნება დუშეთის ქალაქსა შინა განხსნა უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებისა აღმორჩევასა ზედა უეზდის წინამძღომელისა და დეპუტატისა კეთილ-შობილთ სადეპუტატო სობრანიისათვის, მათის კანდიდატებითა.

ვაუწყებ ამაზედ უფალთ თავადთა და აზნაურთა დუშეთის უეზდისათა და ვრაცხ ვალდებულად აქვნდეთ მხედველობაში კანონის სტატ. 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 135, 138, მესამე ტომისა და მეთხუთმეტისა ჰსჯულთა უგოლოვნისა და ისპრავიტელნის სტატ: 1959, 1961, 1965, 1966 და 1967, აღმორჩევის სამსახურსა ზედა.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს უ ფ რ ო ს ი პ ო ლ ი ც მ ე ი ს ტ რ ი ს ა გ ა ნ.

XIV ტომ. პასპორტებზე და გაქცეულებზე წესდებ. 333, 334 და 335 მუხლის ძალით (გამ. 1867 წ.) ქალაქებში ყველა სახლის პატრონი ან მოურავი მისი მოვალე არის სწრაფად შეატყობინოს პოლიციის აფიცერს, როგორც იმაზე, თუ ვინ მივიდა იმის სახლში სადგომათ ან საცხოვრებლათ, აგრეთვე იმაზედაც, თუ ვინ გავიდა იმის სახლიდგან და სად გადავიდა ან რომელ ქვეყანაში წავიდა.

პოლიციაში მიცემულ ცნობაში მოსულებზედ უნდა იყოს გამოცხადებული: 1) სახელი და წოდება მოსულისა; 2) საიდამ მოვიდა, ე. ი. სამზღვარ გარედგან, სხვა ქალაქიდამ, თუ სხვა სახლიდგან გადმოსახლდა; 3) რომელს ხალხს ეკუთსნის.

ყველა სახლის პატრონი, რომელიც თავის შინ არ-ყოფნაში მიანდობს სახლის ზედამხედველობას მოჯამაგირე კაცს, უნდა ამოირჩიოს იმისთვის კეთილ-საიმედო კაცი, რომელსაც შეეძლოს იმის შინარყოფნის დროს შეასრულოს ყველა მიწერილობა და მოთხოვნილება პოლიციისა.

მომსველელებზედ და წამსველელებზედ განცხადებების ჩასაწერად უნდა ჰქონდესთ სახლში წიგნი, იმ ფორმაზედ გაკეთებული, რომელიც დამატებული აქვს 344 მუხლს XIV ტომ. პასპორტებზე და გაქცეულებზედ წესდებათა (გამ. 1857 წ.).

ამ წესების აღსრულებაზეა დამოკიდებული ქალაქის მცხოვრებელთ მშვიდობიანობა და უშიშრობა და მოცილება ქურდობისა და სხვა დანაშაულობისა, რომელნიც უმეტეს ნაწილად მოხდებიან ხოლმე იმ კაცებისაგან, რომელთაც არა აქვს პასპორტი და პოლიციაც არა სცნობს მათ ზემოთ მოხსენებული კანონის აღუსრულებლობისა გამო. ვინც ამ წესებს არ აღასრულებს, ის პასუხის გებაში ჩავარდება დასჯაზე წესდებულების 59 მუხ. ძალით.

ვაუწყე რა ეს ზემოხსენებული ქალიქის პოლიციას ჯეროვანი აღსრულებისათვის, მე ეს განკარგულება მაქვს პატივი გამოუცხადო საყოველთავო საცნობებლად უ. უ. ქ. ტფილისის მოსახლეთა და მცხოვრებთა.

კორრესპონდენცია ჭუთაისიდგან.

რამოდენიმე სიტყვა კორრესპონდენტის სალაპარაკო მასალებზედ. — ჩვენი და ფრანცუზების ხასიათი. — დოღი ს. ქულაში. — ჩვენი ქალები. — წმ. ნინოს ზაედენიის სასარგებლოდ ალლეგრო. — ქაცის კვლა შორაპნის მაზრაში. — აქაური ადვოკატები. — ქართული ენის სწავლა.

შენი რისხვა არა მაქვს, მკითხველო, დიდი ხანია მინდოდა გამემართა შენთან მუსაიფი, მაგრამ რაექნა; ჩვენ ცხოვრებაში ისეთი არა მომხდარა რა, რომ ღირებოდა მიმექცევინებია იმაზედ შენი ძვირფასი ყურადღება; ხომ იცი, რომ, თუ მასალები არ იქნა — როგორ უნდა აშენდეს სახლი?!... ასრეა კორრესპონდენტის საქმეც: თუ ჩვენი ცხოვრება არას წარმოადგენს ისეთს, რომ იმაზედ ღირდეს ლაპარაკი, მაშინ ის მოკლებულია შენთან მუსაიფის გამართვას. ჩვენ ხომ ფრანცუზებივით დაუდეგარი და მსუბუქი ხასიათის ხალხი არა ვართ: იმათ, იქნება თქვენც კარგათ იცოდეთ, ერთ მდგომარეობაში მოსვენება არ შეუძლიათ — ნიადაგ ყვირიან, დახტიან და ერთ ამბავში არიან: ეს ბეჭედის თავისუფლებაო, ეს პროგრესსი, ეს ომიანობაო და სხვა. ჩვენ კი საზოგადოთ სრულებით სხვა ხასიათის კაცები ვართ: თავქარიანობისა არა ვიცით რა; ვცხოვრობთ წყნარათ, შეუშფოთებლათ; ჩვენ დამდგარი ხალხი ვართ — ერთი სიტყვით. ბეჭედზედ, პროგრესსზედ და სხვა ამისთანაებზედ ჩვენ არ გვეჭირება ლაპარაკი, რადგან, ჩვენ ჩვენი მზრუნველი გვყავს, და ჩვენ საჭიროებას და მოთხოვნილებას ის უკეთ მიხვდება, ვიდრე ჩვენ. ბევრი მიზეზების გამო, ჩემო მკითხველო, ჩვენში ძვირათ მოხდება რაიმე შესანიშნავი საჩენი საქმე. — ამიტომ მეც მომეტევება, რომ ქვემო სტრიქონებში რამდენიმე წვრილ საქმეებზედ ორიოდე სიტყვა მოგახსენო. —

წარსულ დღეებში აქ ლაპარაკობდნენ, რომ სოფელ კულაშს, რომელიც არის 35 ვერსზედ ჭუთაისიდან, ამ მოკლე ხანში იქნებაო სხვა შექცევათა შორის ქალების დოღი (მარულა), ერთი აქაური თავადის მოთავეობით. ჰე! ვიფიქრე, გავკეთდი კაცი!... ვიშოვნე სალაპარაკო ამ გაჭირვების დროს!.... მოკლე ხანი რომ გავიდა, გავიგე, რომ დოღი მართლაც მომხდარიყო, მაგრამ ქალებისა კი არა, კაცებისა. არ ვიცი რა ინტერესი ჰქონდა იმას, ვინც დაჰყარა ხმა, რომ ქალების დოღი იქნებაო. ქალებისა იყოს დოღი თუ კაცებისა, ეს სრულიათ ერთია იმ დანიშნულებისათვის, რომელიც აქვს დოღს, ე. ი. ცხენის ჯიშის გაუკეთესება სიმარდით, ტანადობით, ჭკუით და სხვა ყველაფრით; ამისათვის ძლიერ სანატრელია, რომ ამისთანა დოღები ხშირად მოხდებოდეს ჩვენში; მარტო ცხენებისა კი არა, კაცების დოღი რომ უფრო ხშირად იყოს (ე. ი. ქვეით ერთი მეორის გასწღობა), ან სხვა რამ ტანის სავარჯიშო, მაგ. ჭიდაობა, ბურთაობა და სხვა, ისიც ძლიერ სასარგებლო იქნებოდა კაცისათვის, რადგანაც კაცის ორგანიზმო ძლიერ სუსტდება უძრაობის და ფიზიკური ძალის გაურჯელობის გამო. სწავლა და გამოცდილება კი გვიმტკიცებს ჩვენ, რომ საზოგადოთ ფიზიკურათ სუსტობი არ არის და ჩვენმა დაწინაურებულებმა იცოდნენ კიდეც და იმედი გვაქვს რომ, ამას ძველ, გაცვეთილ ჭეშმარიტებათ აღიარებენ. ეს მართალია, მაგრამ მაშ რაღათ ივიწყებენ, სიძველისა გამოთ ხომ არა? მაგრამ ბევრი ძველი ჭეშმარიტებაა, რომ არას ოდეს არ გამოიცვლება და ყოველთვის ცხოველია და შეურყეველი, როგორც ის ჭეშმარიტება რომ ორჯერ ორი — ოთხია. ეი ჩვენ ამას ვამბობთ, რომ ამ ჭეშმარიტებას ჩვენ არ ვითვისებთ, როგორღაც მიგვემალა; ცრუპენტელა და უმცოდინარე ან გაუხსნელი კაცი, რომ დიდ დიდ ლაპარაკს გამართავს ხოლმე, ჩვენცა ვყვებით თითქმის უნებურათაო და მამა-პაპურის დასკვნით ვათავებთ მუსაიფსა ყველასთვის სასიამოვნოთ. ნამდვილი ჭეშმარიტების შენება იმიტომ იქნებოდა კარგი, რომ თუმცა პრაქტიკულ ცხოვრებაში მალე არა შეეიდოდარა, მაგრამ პრაქტიკულ გონებას ნათლათ დაანახვებდა საქმესა, კაცს გონება გაუნათლდება. და ხომ ვიცით, რომ ნათელი გონება ძვირფასი რამ არის ყველასთვის, ვინც უნდა იყოს, მსწავლული, თუ უსწავლელი. ეს გამოიყენებს კაცს სიბნელეში სიარულისაგან და წალმა-უკულმა საქმის განმარტებისაგან.

. . . . . .

ვ. — ძე.

საზოგადო მიმოხილვა.

წასულ კვირას მოვილაპარაკეთ იმ კვირისა გამო, რომ ადამიანის ცხოვრებაში ისეთი დღეა, როდესაც ფეხს წინ გადასდგამს და რამდენსამე ნაბიჯს მიუმატებს, მაგრამ ამ ახლად სიარულში ისეთ გზას არ დააკვირვებს თვალსა, რომელზედაც საფუძვლიანი სელა შეიძლება. ამ შემთხვევაში თვალის დაკვირვება და ჩვენება ეკუთვნის დაწინაურებულ, გახსნილ კაცებსა, და ამაზედა ვთქვით, რომ ჩვენში გახსნილი კაცებიც როგორღაც ემორჩილებიან საზოგადო ჰაზრსა და ის საფუძველი რომელიც იციან, იცოდნენ, როგორღაც ემალებათ.

შორს ნულარ წავალთ: ავიღოთ ის, რაც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა ამ უკანასკნელ წელიწადებში. ხელმწიფის წყალობამ ჩვენში ბატონყმობის საქმის გათავება და ახალი სასამართლოები მოგვანიჭა, ესე იგი ძველი კანონები შეიცვალა და ახალი კანონები დაწესდა. ძველი კანონები მმართებლობამ შერიცხა უვარგისათ და სასარგებლოდ დაინახა ახალი კანონების დაწესება ხალხისათვის. ეს ცვლილება იმიტომ მოხდა, რომ როდესაც კარგი კანონი არის, კანონის ამსრულებელს, კარგი კაცია, თუ ცუდი, ძალა ადგია, ვალი აქვს, რომ დაემორჩილოს ძველზე უკეთესს კანონებსა და ამ გვარათ საზოგადოთ ხალხში სიკეთე გავრცელდეს. აქედამ ჩვენ ის ჰაზრი გვეძლევა, რომ ადამიანის მოქმედება საზოგადო საფუძველზეა დამოკიდებული და არა მხოლოთ თავის ნებაყოფლობაზე, მინდა ასე ვიზამ, მინდა ისეო. მაგრამ კაცი როგორღაც ყოველთვის ადამიანის მოქმედებას იმის ნება ყოფლობას აწერს. აქ მაგალითი მოვიტანოთ. ადრე როდესაც რომელიმე ბატონი ცუდად ეპყრობოდა თავის ყმასა, მაშინვე კეთილ გულიანი კაცი ლაპარაკობდა, რომ აი ღმერთმა შეარცხვინა ისაო ამისთანა საქციელისთვისაო. ეს დალოცვილი ამას კი არა ფიქრობდა, რომ როდესაც ერთი ყმა კაცის ბედი და უბედობა თავის ბატონის ხელში იყო, მაშინ იმის დაჩაგვრა შესაძლებელი იყო, კაი კაცია კარგათ მოეპყრობოდა, ავია და ავათ მოეპყრობოდა. არამც თუ ავი, კარგ კაცსაც იქნება რამე შემთხვევა მიეცეს, ადამიანია, იქნება გულზე მოვიდეს; იმასაც შეეძლო, რომ ცუდათ მოჰპყრობოდა თავის ყმასა. აქ საქმე ის იყო, რომ ერთი კაცი მეორეს ხელში ეჭირა. როდესაც ეს დამოკიდებულება არ არის ეხლა, არც ბატონს შეუძლიან ხელის ხლება და არცარა ავობა დაბრალდება. ეი კიდევ სხვა მაგალითი: ვიდრე ახალი სასამართლოები შემოვიდოდა, ძველი სასამართლოების დროს საქმე რომ გაგძელდებოდა, სულ მოსამართლეებს აბრალებდნენ, კაი მოსამართლე არ არისო; ის კი არ იცოდნენ, იმას კი არა ფიქრობდნენ, რომ იმ კაცს შეეძლო თუ არა იმდენი საქმეებისა და დავების მალე გადაწყვეტა, როდესაც რომ სულ წერაზე იყო დამყარებული იმისი მოქმედება. აქ ბრალი მოსამარლეს არა ჰქონდა.

ეს აზრი, ეს დასკვნა უნდა გამოგვეტანა ჩვენი ცხოვრების ახალ ცვლილებაების გამოთ. ეს დასკვნა რასაკვირველია ისეთი ძნელი შეტყობა არ არის, ეს ბეჭედის თავისუფლებაო, ეს პროგრესსი, ეს ომიანობაო და სხვა. ჩვენ კი საზოგადოთ სრულებით სხვა ხასიათის კაცები ვართ: თავქარიანობისა არა ვიცით რა; ვცხოვრობთ წყნარათ, შეუშფოთებლათ; ჩვენ დამდგარი ხალხი ვართ — ერთი სიტყვით. ბეჭედზედ, პროგრესსზედ და სხვა ამისთანაებზედ ჩვენ არ გვეჭირება ლაპარაკი, რადგან, ჩვენ ჩვენი მზრუნველი გვყავს, და ჩვენ საჭიროებას და მოთხოვნილებას ის უკეთ მიხვდება, ვიდრე ჩვენ. ბევრი მიზეზების გამო, ჩემო მკითხველო, ჩვენში ძვირათ მოხდება რაიმე შესანიშნავი საჩენი საქმე. — ამიტომ მეც მომეტევება, რომ ქვემო სტრიქონებში რამდენიმე წვრილ საქმეებზედ ორიოდე სიტყვა მოგახსენო. —

სტი და უძლური კაცი თითქმის ყოველთვის სუსტი და არა გამჭრიახე ჭკუის პატრონია.

რადგან ზემოთ მოვიხსენიე ქალები, მინდა აქვე ვთქვა, თქვენი ნება დართვით, კიდევ ორიოდე სიტყვა ჩვენ ქალებზედ.—აქაური ქალების პირველი დროს გასატარებელი იყო და ეხლაც არის (თუმცა ნაკლებათ) ლოტოს თამაშობა. ლოტოს თამაშობა, ვიზიტები და რუსულ ენაზედ ტიკტიკი აქაური ქალების აზრით განათლების ნიშანია!... ვინც „პეტნაციეტს“ ვერ იტყვის, ის რა განათლებული ქალი უნდა იყოს?!... ზოგიერთისათვის კიდევ როგორც არის მისატევებელია ამისთანაებში ბევრი დროს დაკარგვა, რადგან ჩვენ ქალებს იმოდენი არ ესმისთ ჯერ, რომ თუ თავის თავი და თავის ოჯახი არ აწუხებს—მაშინ ის ვალდებულია იზრუნოს სხვებზედ, რომლებიც არიან შეწუხებულნი და შეეიწროებულნი ბედისაგან და მოჰკიდოს ხელი რაიმე საზოგადო სასარგებლო საქმეს; მაგრამ ზოგიერთი ქალებისათვის კი, სწორეთ გითხრათ, არ არის მისატევებელი ამისთანაებში დროს დაკარგვა, მაშინ როდესაც იმათ რჩებათ შინ ბაშვები უზედამხედაოთ, უყურადღებოთ და ოჯახი უთაოთ. ამ საგანზე მე ერთს მაგალითს მოგახსენებთ; ერთ ალაგას ქალს მოუკვდა შვილი იმ დროს, როდესაც ის ლოტოს საათამაშოთ და დროს გასატარებლათ წასულიყო სადღაც; თურმე მძიმე ავათ მყოფი შვილი დასტოვა შინ და სანამ ის თავის შექცევას გაათავებდა—შვილმაც გაათავა დედა მიწაზედ თავის შექცევა და ჩაბარა სული ღმერთს.—რას იტყვი, მკითხველო, შენ ამისთანა დედაზედ?—ქალები ასრე ატარებენ დროს, მაგრამ არც იმათი ქმრები არიან მოწყენილნი. აქ არის ეხლა ორი კლუბი: „კეთილშობილებისა“ და ახალად გახსნილი „ვაჭრებისა“, სადაც ჩვენი კეთილშობილი და შეძლებული კაცობრიობა ატარებს დროს უმეტეს ნაწილად იარალაშის თამაშობაში, რომელიც ეხლა მოდათ შემოვიდა.—

3-ს ამ თვისას ზემოხსენებულ კეთილშობილების კლუბში მოხდა ლოტარეა-ალლეგრო წმ. ნინოს სასწავლებელის სასარგებლოთ; უმეტესი ნაწილი ნივთებისა იყო შეწირული სხ. და სხ. კერძო პირებისაგან, ზოგი კი თვითონ მოწაფეების ხელ ნასაქმევი იყო; რადგანაც ბილეთები იაფათ ისყიდებოდა (თითო აბაზათ), ბევრმა მიიღო ამ ალლეგროში მონაწილეობა, ასრე რომ, ამბობენ, კარგა ბლომა შემოსავალი იქნებოდაო.—

შორაპნის მაზრაში მოხდა ერთი სისხლის ამღვრევი საქმე: ერთ ღამეს მოჰკლეს ერთ ოჯახში სამი სული—დედა და ორი პატარა მისი ქალები. ამ საქმეზედ ეხლაც არ გათავებულა გამოძიება; ლაპარაკობენ, ვითომ, შვილმა მოჰკლაო ის ქალი და ორი პატარა თავის დები. როდესაც ამ საქმეს გამოიძიებენ და ოლქის სასამართლოში იქნება იმის გარჩევა, მაშინ ვეცდები გაცნობოთ ამ საქმის ვითარება უფრო დაწვრილებით.—

ჩვენი საზოგადოების სამწუხაროა ეს არის, რომ აქ არ არის არც ერთი ადვოკატი; არიან მარტო დროებით ორი თუ სამი სუსტი, რომელთაც მიენდობა ხოლმე რომელიმე საქმე დასაცველად.

უკანასკნელი ჩემი სიტყვა იქნება კიდევ ერთ წვრილმან საქმეზედ. მე მინდა მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა იმაზედ—თუ როგორ ასწავლიან ზოგჯერ ზოგ ალაგას ქართულ ენას. მე ვიცნობ ქართული ენის ერთს მასწავლებელს, რომელსაც, როგორც ამბობენ, ჰსურს ყველაფერი კეთილი დააყაროს თავის მოწაფეებს, მაგრამ თუ კაცს (ნამეტურ პედაგოგს) სწავლა, გახსნილობა და გამოცდილობა არა აქვს, მარტო კეთილი გული ვერ მოიტანს ვერაფერს სარგებლობას. პატივცემული პედაგოგი ასწავლის თავის მოწაფეებს ქართულ ენას იმ მეთოდით, რა მეთოდითაც ასწავლიდენ წარსულ საუკუნეში ჩვენ ცხონებულ სემინარიებში, ე. ი. გრამატიკით (მაგრამ რა გრამატიკით!... ამბობენ ანტონ ჭათოლიკოზის გრამატიკაზედ კიდევ უფრო ძველი განიშნებოდა. მიხეილის მტრები, რომელთაც ხელს უმართავდნენ მოხსენებული ავსტრიის ენერალი და ოსმალეთის ფაშა, აღუდგნენ მთავარს, დაუწყეს იმას ომი და გაქცევაზე აიძულეს; მთავარი ავსტრიას გაიქცა. ეს მოხდა 1842 წელსა. თუმცა ესე ცოტა ხანს განაგებდა სერბიას მიხეილი, მაგრამ ბევრნაირად შეეწია შინაგან იმისს კეთილდღეობას. ალექსანდრე ყარა-ბიორგის ძე სრულებით ავსტრიის გავლენას მიეცა. ის მთავრობდა 1858 წლამდის. იმისი მთავრობა იმითია მხოლოდ შესანიშნავი, რომ ხალხის ყრილობა აღარც ერთხელ არ მომხდარა, სერბიელებმა უშველეს ავსტრიას მადიარების (ვენგრების) წინააღმდეგ ომში 1848 წ. და კიდევ თუმცა ისინი ძალიანაც თანა უგრძნობდნენ რუსებს, მაინც იმათ მმართებლობისგან არ მიეცა ნება აღმოსავლეთის ომში (ოსმალეთის წინააღმდეგ) მონაწილეობა მიეღოთ.

ყარა-ბიორგის ძე სრულებით დაემორჩილა თავის მინისტრებს, რომელნიც ავსტრიისა და ოსმალეთის იმედით აწუხებდნენ ხალხს და თავიანთ უფლების ძალით, სიმდიდრეს იძენდნენ თავიანთვის. ამაზედ სერბიელებმა მღელვარება დაიწყეს; ეს მღელვარება ძალიან გაძლიერდა 1857 წელში, აღმოსავლეთის ომის დროს. მაშინ ოსმალეთის ბძანებით შეიკრიბა ხალხი; ამ ყრილობამ გადააყენა ტახტიდამ ყარა-ბიორგის ძე და აიყვანა მაზედ მოხუცებული მილოში ობრენოვიჩი. მილოში ავადმყოფი იყო და რვა თვეზე მეტი ველარ იცოცხლა. ამის სიკვდილს შემდეგ გახდა მთავრად ისევ მიხეილი (1860 წ.) ეს განაგებდა სერბიას თითქმის რვა წელიწადი და მრავალი ბედნიერება მიანიჭა იმის შინაგან'ს მდგომარეობას. თავის ქვეყნიდგან გაძევების დროს თექვსმეტი წელიწადი მოგზაურობდა; მაშინ დაიარა ევროპის ყველა დიდი ქვეყნები და გაიცნო იმათი ახლანდელი წარმატებული და მოხერხებული ცხოვრება. ახლა ის თავის მთავრობის დროს, ცდილობდა თავის ხალხისათვისაც გაეცნო ის წარმატება და მოხერხებული ცხოვრება. მაგრამ გარეგანი მდგომარეობა სერბიისა ისეთი იყო, რომ მმართებლობის ქცევას კარგი თვალით ვერ შეჰხედავდნენ სერბიელები. ამისგამო ერთი წელიწადი არ გაიელიდა და რომ ხმა არ დაეგდოთ მთავრის მოკვლის 'მეთქმულობაზე. რაც უნდა იყოს ამ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში ძალიან ბევრი სარგებლობა მოუტანა სერბიას თავის საკუთარი შრომითა და საქმეებში მონაწილეობით. იმან შეადგინა სახალხო ჯარი, რომელშიაც ეხლა ირიცხება 100,000 კაცი. ოსმალეთის მმართებლობას გამოაყვანინა გარნიზონი სერბიის ციხეებიდგან. მთავარი მიხეილი თუმცა კარგა გრძნობდა სერბიის ძველ მდგომარეობას, მაგრამ, მაინც იმედს არ იკარგავდა სერბიის ხალხის განთავისუფლებაზედ, და ტყუილად კი არ მოჰყავს გაზეთ „სვეტოვიდს“ მთავრის სიტყვები, რომელიც მას წარმოუთქვამს 16 მაისს ბელგრადის ბანაკში 76,000 ჯარის გასინჯვის დროს. მთავრს უთქვამს: „ბედნიერია მფლობელი, რომელსაც თვის ხელ ქვეშა ჰყავს 100,000 ამისთანა იუნგი (ვაჟკაცი)“.

მთავარმა მიხეილმა, როდესაც თავის ქვეყნიდგან იყო გაძევებული, ცოლად შეირთო ვენგრიელი ქალი, კათოლიკის სარწმუნოებისა და მდიდარი ჩამომავლობისა. ამ ცოლისგან შვილები არ ეყოლა; ამის გამო იმის შემკვიდრე სერბიის კანონების ძალით ხალხმა უნდა ამოარჩიოს.

ოსმალეთი.

ბოსნიელებისგან უარის ყოფა გადასახადის შეტანაზე. Osten გაზეთში სწერენ, რომ ბოსნიაში აღრეულობა მხოლოდ იმისგან წარმოსდგაო, რომ ბოსნიელებს არ უნდათ ახლად დაწესებული გადასახადის მიცემა. ბოსნიაში შინაური საქონლის მეტი აღარა ყოფ რა ხარჯისაგან თავისუფალი და ახლა, ამ უკანასკნელ დროს, ოსმალეთმა იმასაც შეაწერა ხარჯი. ამ გვარმა თავისუფალმა მოქმედებამ ააღელვა მთელი ხალხი. თითქმის ყველა სახლობამ, როგორც ქრისტიანებმა, აგრეთვე მუსულმანებმაც, უარი ჰყვეს ახალი ხარჯის შეტანაზე, და რადგან ქალაქი ტემუჩინი ითვლება მრავალ ხალხიან ქალაქად ბოსნიში, ამიტომ იქ უფრო ეტყობოდა უკმაყოფილობა; ამ ქალაქში ადგილობრივმა მოხელეებმა დაიჭირეს და გაგზავნეს ბოსნა-სარაიაში ოცი კაცი, რომელთ რიცხვში რვა მუსულმანი ერია.

ახალი ლიბერალური გამოცხადება სულთნისა.

კოსტანტინეპოლიდგან გვატყობინებენ, 9 მაისიდგან, უცხო ქვეყნის გაზეთები, რომ მმართებლობა ცდილობს მისცეს საზოგადო საქმეს წარმატება. შესახებ ადგილისა, რომელიც საჭიროა ადრიანოპოლის რკინის გზისათვის, სულთანმა ალუთქვა შეეწირა, თუ საჭირო იქნებოდა, სასახლის მიწა, რომელიც არის სერალის გვერდზე. ტელეგრაფის მავთულის გაბმა აზიაში მარდათ მიდის. როდესაც სულთანმა ფრანკო-ფაშა და დუად-ფაშამ მიიღო აუდენციაზე, მაშინ წარმოსთქვა: „მე მსურს, რომ პირნი, მოწოდებულნი ჩემგან სახემწიფო თანამდებობაზე, მიაპყრობდნენ ყველას თავიანთ მზრუნველობასა საზოგადო პროგრესის დასაჩქარებლად. მე არა ვყოფ არა ვითარ გარჩევას ჩემ ქვეშევრდომ ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის. ჩვენ უნდა დავიჭიროთ ქვეყანაში ისეთივე მდგომარეობა, როგორიც უჭირავსთ დიდ სახელმწიფოებს, და ათ წელიწადში უნდა უმეტესი გავაკეთოთ, ვიდრე აკეთებდნენ აქამდის ნახევარ საუკუნეში.

ტელეგრამმები.

პეტერბურგში მიღებული.

პეშტი, 28 მაისს (9 ივნისს). ბენერალი ალლაპკა თავის გაზეთში „შასანდუკში“ მიესალამება პრინც ნაპოლეონს; ამასთან პრუსსიას, ფრანციას და ავსტრიას ვენგრიითურთ ურჩევს შეკავშირებას მოსკვიტიზმის წინააღდეგ.

კონსტანტინეპოლი, (სტამბოლი) 25 მაისს (6 ივნისს). ომერ-ფაშა დანიშნეს პირველი ჯარის კორპუსის წინამძღომლად. პრუსიის ინსტრუკტორებს, (*) რომელნიც ოსმალეთის ჯარში იმყოფებიან, ფაშის ღირსება მიენიჭათ.

ბელგრადი, 30 მაისს (11 ივნისს). აქ შეადგინეს დროებითი მმართებლობა, რომელიც შესდგება სენატის თავმჯდომარე მარინოვიჩისაგან, იუსტიციის მინისტრის ლეშიანინისგან და კასსაციის სამსჯაროს თავმჯდომარის პეტროვიჩისაგან. ამ მმართებლობამ რელენტობა (**) მიიღო. სერბიის ყრილობა, რომელზედაც 500 წევრია მოწვეული, შეიკრიბება ივლისის დასაწყისში. მთავარი მიხეილის მკვლელები არიან: მამა და ორი მისი შვილი, რადანოვიჩები; იმათი განზრახვა ყოფილა მაგიერის გადახდა გვარის შეურაცსებისათვის. მამა და ერთი შვილი შეპყრობილი არიან. ჭუჩებზე ყრილობა აკრძალულია. ჯარს აკრძალული აქვს კაზარმებიდგან გამოსვლა.

— ბამოაცხადეს, რომ მთელი სერბია სალაშქრო მდგომარეობაშია მოყვანილი. მთა-

(*) ოფიცერი, რომელიც სალდათებს ასწავლის სროლასა და სხვა სამხედრო ვარჯიშობასა.

(**) რელენტი არის გამგებელი, რომელიც ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვანობის დროსა განაგებს სახმლმწიფოს.

პოლიტიკა.

სერბია.

მიხეილ ობრენოვიჩი III (მესამე). გაზეთს „მოსკვაში“ არის დაბეჭდილი შემდეგი ცხოვრების აღწერა მოკლულის სერბიის მთავრის მიხეილისა. მიცვალებული სერბიის მთავარი დაიბადა 1825 წელსა 23 აგვისტოს, და თავის სიცოცხლეში ორჯერ იყო მოწოდებული სერბიის ტახტზედ: პირველად 1840 წ. 5 მარტს,—მაშინ როდესაც სერბიაში გამოსცეს ახალი დებულება, რომელმაც მთავრის უფლება შემოსაზღვრა (შეაკვიწროა) და მისი მამა მილოში, აიძულა სერბიის დატოვებაზე. ამას შემდეგ ცხრა თვე და ოცდა ექვსი დღე რომ გავიდა, მიხეილმა, რომელიც ვლახეთში იყო, მიიღო სერბიის ხალხის უხუცესისაგან ტახტზედ მიწვევა. მამა დიდხანს არ უშვებდა მას სერბიაში, მაგრამ როცა სულთნის ფირმანიც მიუვიდა, მაშინ მიხეილმა გამოსცა პროკლამაცია (განცხადება) სერბიის ხალხისადმი, რომ აღმოჩენაზედ თანახმა ვარო. მიხეილი ჯერ კოსტანტინეპოლს წავიდა, რომ სულთანს გამოცხადებიყო. სულთანმა კარგა მიიღო ისა, მაგრამ მთავარი სერბიას რო მივიდა, ნახა რომ ოსმალეთს უწინდელი მთავრის მოადგილეები აუცილებელ მრჩეველებათ დაენიშნა მთავრისთვის. ახალგაზდა მთავარს არ უნდოდა, რომ პატივის-მოყვარე მოთათბირეთ თვალყურის ქვეშ ყოფილიყო; აქედგან წარმოსდგა ახალი მღელვარება სერბიაში. მთავრის მოთათბირეებმა მრავალი მომხრეები იშოვნეს: ბელგრადში მყოფ ოსმალეთის ფაშასა და სერბიის საზღვრებზე დაყენებულ ავსტრიის ჯარის წინამძღვარს დაუმეგობრდნენ. ესენი ცდილობდნენ სერბიის ტახტზედ მიცვალებული ყარა-ბიორგის შვილი აეყვანათ, და ისე მოახერხეს, რომ ალექსანდრე ყარა-ბიორგის ძე, რომელიც ავსტრიაში იზრდებოდა, სერბიაში მოსვლის ნება დაერთო და ამასთან დანიშნა მთავარი მიხეილის ადიუტანტად. ოსმალეთსა და ავსტრიას იმედი ჰქონდა სერბიაზედ იუფლებდა, თუ მთავრად ყარა-ბიორგის ძე დაინიშნებოდა. მიხეილის მტრები, რომელთაც ხელს უმართავდნენ მოხსენებული ავსტრიის ენერალი და ოსმალეთის ფაშა, აღუდგნენ მთავარს, დაუწყეს იმას ომი და გაქცევაზე აიძულეს; მთავარი ავსტრიას გაიქცა. ეს მოხდა 1842 წელსა. თუმცა ესე ცოტა ხანს განაგებდა სერბიას მიხეილი, მაგრამ ბევრნაირად შეეწია შინაგან იმისს კეთილდღეობას. ალექსანდრე ყარა-ბიორგის ძე სრულებით ავსტრიის გავლენას მიეცა. ის მთავრობდა 1858 წლამდის. იმისი მთავრობა იმითია მხოლოდ შესანიშნავი, რომ ხალხის ყრილობა აღარც ერთხელ არ მომხდარა, სერბიელებმა უშველეს ავსტრიას მადიარების (ვენგრების) წინააღმდეგ ომში 1848 წ. და კიდევ თუმცა ისინი ძალიანაც თანა უგრძნობდნენ რუსებს, მაინც იმათ მმართებლობისგან არ მიეცა ნება აღმოსავლეთის ომში (ოსმალეთის წინააღმდეგ) მონაწილეობა მიეღოთ.

ყარა-ბიორგის ძე სრულებით დაემორჩილა თავის მინისტრებს, რომელნიც ავსტრიისა და ოსმალეთის იმედით აწუხებდნენ ხალხს და თავიანთ უფლების ძალით, სიმდიდრეს იძენდნენ თავიანთვის. ამაზედ სერბიელებმა მღელვარება დაიწყეს; ეს მღელვარება ძალიან გაძლიერდა 1857 წელში, აღმოსავლეთის ომის დროს. მაშინ ოსმალეთის ბძანებით შეიკრიბა ხალხი; ამ ყრილობამ გადააყენა ტახტიდამ ყარა-ბიორგის ძე და აიყვანა მაზედ მოხუცებული მილოში ობრენოვიჩი. მილოში ავადმყოფი იყო და რვა თვეზე მეტი ველარ იცოცხლა. ამის სიკვდილს შემდეგ გახდა მთავრად ისევ მიხეილი (1860 წ.) ეს განაგებდა სერბიას თითქმის რვა წელიწადი და მრავალი ბედნიერება მიანიჭა იმის შინაგან'ს მდგომარეობას. თავის ქვეყნიდგან გაძევების დროს თექვსმეტი წელიწადი მოგზაურობდა; მაშინ დაიარა ევროპის ყველა დიდი ქვეყნები და გაიცნო იმათი ახლანდელი წარმატებული და მოხერხებული ცხოვრება. ახლა ის თავის მთავრობის დროს, ცდილობდა თავის ხალხისათვისაც გაეცნო ის წარმატება და მოხერხებული ცხოვრება. მაგრამ გარეგანი მდგომარეობა სერბიისა ისეთი იყო, რომ მმართებლობის ქცევას კარგი თვალით ვერ შეჰხედავდნენ სერბიელები. ამისგამო ერთი წელიწადი არ გაიელიდა და რომ ხმა არ დაეგდოთ მთავრის მოკვლის 'მეთქმულობაზე. რაც უნდა იყოს ამ უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადში ძალიან ბევრი სარგებლობა მოუტანა სერბიას თავის საკუთარი შრომითა და საქმეებში მონაწილეობით. იმან შეადგინა სახალხო ჯარი, რომელშიაც ეხლა ირიცხება 100,000 კაცი. ოსმალეთის მმართებლობას გამოაყვანინა გარნიზონი სერბიის ციხეებიდგან. მთავარი მიხეილი თუმცა კარგა გრძნობდა სერბიის ძველ მდგომარეობას, მაგრამ, მაინც იმედს არ იკარგავდა სერბიის ხალხის განთავისუფლებაზედ, და ტყუილად კი არ მოჰყავს გაზეთ „სვეტოვიდს“ მთავრის სიტყვები, რომელიც მას წარმოუთქვამს 16 მაისს ბელგრადის ბანაკში 76,000 ჯარის გასინჯვის დროს. მთავრს უთქვამს: „ბედნიერია მფლობელი, რომელსაც თვის ხელ ქვეშა ჰყავს 100,000 ამისთანა იუნგი (ვაჟკაცი)“.

მთავარმა მიხეილმა, როდესაც თავის ქვეყნიდგან იყო გაძევებული, ცოლად შეირთო ვენგრიელი ქალი, კათოლიკის სარწმუნოებისა და მდიდარი ჩამომავლობისა. ამ ცოლისგან შვილები არ ეყოლა; ამის გამო იმის შემკვიდრე სერბიის კანონების ძალით ხალხმა უნდა ამოარჩიოს.

ოსმალეთი.

ბოსნიელებისგან უარის ყოფა გადასახადის შეტანაზე. Osten გაზეთში სწერენ, რომ ბოსნიაში აღრეულობა მხოლოდ იმისგან წარმოსდგაო, რომ ბოსნიელებს არ უნდათ ახლად დაწესებული გადასახადის მიცემა. ბოსნიაში შინაური საქონლის მეტი აღარა ყოფ რა ხარჯისაგან თავისუფალი და ახლა, ამ უკანასკნელ დროს, ოსმალეთმა იმასაც შეაწერა ხარჯი. ამ გვარმა თავისუფალმა მოქმედებამ ააღელვა მთელი ხალხი. თითქმის ყველა სახლობამ, როგორც ქრისტიანებმა, აგრეთვე მუსულმანებმაც, უარი ჰყვეს ახალი ხარჯის შეტანაზე, და რადგან ქალაქი ტემუჩინი ითვლება მრავალ ხალხიან ქალაქად ბოსნიში, ამიტომ იქ უფრო ეტყობოდა უკმაყოფილობა; ამ ქალაქში ადგილობრივმა მოხელეებმა დაიჭირეს და გაგზავნეს ბოსნა-სარაიაში ოცი კაცი, რომელთ რიცხვში რვა მუსულმანი ერია.

ახალი ლიბერალური გამოცხადება სულთნისა.

კოსტანტინეპოლიდგან გვატყობინებენ, 9 მაისიდგან, უცხო ქვეყნის გაზეთები, რომ მმართებლობა ცდილობს მისცეს საზოგადო საქმეს წარმატება. შესახებ ადგილისა, რომელიც საჭიროა ადრიანოპოლის რკინის გზისათვის, სულთანმა ალუთქვა შეეწირა, თუ საჭირო იქნებოდა, სასახლის მიწა, რომელიც არის სერალის გვერდზე. ტელეგრაფის მავთულის გაბმა აზიაში მარდათ მიდის. როდესაც სულთანმა ფრანკო-ფაშა და დუად-ფაშამ მიიღო აუდენციაზე, მაშინ წარმოსთქვა: „მე მსურს, რომ პირნი, მოწოდებულნი ჩემგან სახემწიფო თანამდებობაზე, მიაპყრობდნენ ყველას თავიანთ მზრუნველობასა საზოგადო პროგრესის დასაჩქარებლად. მე არა ვყოფ არა ვითარ გარჩევას ჩემ ქვეშევრდომ ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის. ჩვენ უნდა დავიჭიროთ ქვეყანაში ისეთივე მდგომარეობა, როგორიც უჭირავსთ დიდ სახელმწიფოებს, და ათ წელიწადში უნდა უმეტესი გავაკეთოთ, ვიდრე აკეთებდნენ აქამდის ნახევარ საუკუნეში.

ვარი მიხეილის სიკვდილის გამო მთელ სამთავროში ექვს თვეს უნდა ატარონ შაევები. ᲗᲘᲜᲪ კი შეიპყრეს—ხალხი დიდი მძვინვარებით სდევნიდა მათ. ᲑᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲛ აჩვენა, რომ მთავარი მხოლოდ მაგიერის გადახდისათვის მოკლეს და რომ ეს კვლა არ არის პოლიტიკური კვლა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 31 ᲛᲐᲘᲡᲡ (12 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ). ᲑᲐᲖᲔᲗ Epoque-ში ამტყუნებენ იმ ცნობას, ვითომც დიდ სახელმწიფოებს შუა თანხმობა მოხდა სერბიის საქმეების შესახებ მოქმედებაზედ. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲛᲐ გამოაცხადა, რომ თანახმაა მიიღოს ყველა გვარი განკარგულება, რაც კი ამ საქმის შესახებ დიდი სახელმწიფოებისაგან გამოვაო.

— ᲑᲐᲖᲔᲗ France-ში იწერებიან ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲓᲒᲐᲜ, რომ ნამდვილი წყაროებიდგან სჩანსო, რომ სერბიის მფარველი სახელმწიფოები ერთმანერთში სრულებით თანახმანი არიან იმ საქმის შესახებ, რომელს მჭიდრო კავშირი აქვს სერბიის მთავრის გარდაცვალებასთან.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 1 (13) ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, აქაურმა დეპუტატებმა ერთ ხმივა სცნეს სერბიის მომავალ მთავრად მთავარი მიხეილის ძმის წული მილანი. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ რაც გამოძიებით შეიტყეს, სჩანს, რომ შეთქმულობა ყოფილა ᲧᲐᲠᲐ-ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ შვილების სასარბებლოდ.

— (15) ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲠᲐ-ᲖᲘᲝᲠᲒᲘᲡ ძის თაობა მიხეილის მოკვლაში უფრო და უფრო ამკარავდება. ᲣᲜᲓᲐ ვიფიქროთ, რომ სერბიის დროებითი მმართებლობა მოითხოვს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ თავადი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ მოცემას.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 4 (16) ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲑᲐᲖᲔᲗᲘ Constitutionnel-ში სწერენ, რომ დიდმა სახელმწიფოებმა პირობა დადეს, რომ სერბიის მთავრის ამორჩევა მის შინაგან საქმეთა სცნან,—ამასთან ისიც სასურველი იქნებაო, რომ სერბიის ხალხი ამ საქმეში უცხო ქვეყნის გავლენას არ მიეცეს, არამედ სრულებით დამოუკიდებლად იმოქმედოსო.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიღებული.

ᲒᲝᲚᲭᲩᲐᲘ, (*) 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲒᲝᲚᲭᲩᲐᲘᲡ მაზრაში პურის მოსავალი გაფუჭდა თაგვებისაგან, წყლების ადიდებისაგანა და კალიისაგან. ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ შარშანდელზე უკეთ მოვიდა; აბრეშუმის პარკები ძვირად არ იყიდება.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ჩინეთის საზღვარზედ რუსის ჯარის რაზმი შეეტაკა დიდს თაბუნს, რომელნიც ჰკრებდნენ ოქროს და მიჰქონდათ; ამის თაობაზედ ჯარია გაგზავნილი.

— 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ წავიდა პრაგიდგან; ჩეხებსა და ᲐᲘᲡᲢᲠᲘᲐᲡ შორის თანხმობა ვერ მოხდა; ჩეხის გაზეთების გამოშვება აკრძალეს.

— ᲑᲣᲮᲐᲠᲐ უომრად დაიპყრეს რუსებმა.

ᲧᲘᲖᲚᲐᲠᲘᲓᲒᲐᲜ „ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ“ სწერენ, 28 მაისს, რომ ქალაქის მიდამოალაგებში საშინელი ქარიშხლიანი და ნიაღვრიანი სეტყვა მოვიდაო, რომელმაც აზარალა ასი ვაზის ვენახზე მეტი; თუმცა ზარალი ჯერ ცნობაში არ მოუყვანიათ, მაინც ფიქრობენ, რომ ძალიან დიდი უნდა იყოსო.

ᲑᲔᲜᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲑᲔᲜᲣᲐᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ)

(გაგრძელება)

ᲑᲔᲜᲣᲐᲡ ჰყვანდა სამი შვილი; უფროსს ეჭირა მსაჯულის თანამდებობა და პატივ-ცემული კაცი იყო. ᲯᲔᲠ პირველად ეჭვი მიიტანეს მეორე შვილზედ, ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲖᲔᲓ, რომელიც მშობლებს ცუდი ყოფა-ქცევისათვის სახლიდგან გაეგდოთ. ᲑᲝᲠᲝᲢ მოქმედების შესრულების დროს ის სცხოვრებდა ᲠᲔᲘᲛᲡᲨᲘ. მაგრამ მასზედ შეკრებულ ცნობაებმა სრულებით დაამტკიცეს უბრალოება ᲐᲛᲐ ყმაწვილი კაცისა.

ᲑᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ცხადად დადგა მცირე გზაზედ; მზა იყვნენ ხელი აეღოთ დამნაშაევეთ პოვნაზედ და ყველა ეს საქმე ᲦᲕᲗᲘᲡ მართლ-მსაჯულებაზედ მიეგდოთ. მაგრამ უცებ, სხვა და სხვა მამხილებელი გაუფრთხილებლობისა გამო, გამომძიებლებმა ვითომ იპოვეს ნამდვილი მკვლელი.

1830 წლის 6 იანვარსა (უბედურების მოხდენის შემდეგ ორ თვეს უკან) თითონ იმ ფანჯარაზედ, რომელშიაც შემძვრალიყო ბოროტ მოქმედი, იპოვეს უსახელო წერილი, მიწერილი მომრიგებელ მოსამართლე ᲑᲔᲜᲣᲐᲡთან; ამ წიგნის დამწერი ᲑᲔᲜᲣᲐᲡ, ერთ ვუზიერის მოხელეს და ვინმე ᲚᲐᲑᲔᲕᲡ, მეძეხვეს, ემუქრებოდა იმავე უბედურებით, რაც ᲑᲔᲜᲣᲐᲡ ᲪᲝᲚᲡ შეემთხვა. ᲔᲡ წერილი წარუდგინეს კოროლის პროკურორს, რომელმაც სცნა, რომ ის დაწერილი იყო თვით ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡ ხელითა.

ᲚᲐᲑᲔᲕᲘ ირიცხებოდა თავის მეზობლობაში ლიბერალად, ესე იგი უმადურად ეხლანდალის მმართებლობისა. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ უნდა იყოს ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ მმართებლობა, ყოველთვის გამოჩნდებიან კაცები, რომლებსაც შეიძლება უწოდოთ ყველაფრის წინააღმდეგებად, რასაც კი მათის ჰაზრითა აქვს ვითარიმე კავშირი მაინც მმართებლობის უფლებასთან. ᲮᲝᲚᲝ მათის ჰაზრით-ყოველფერსა აქვს კავშირი, ყოველივე წარმოსდგება მმართებლობიდან, მას აწერენ ისინი ყველა თავიანთ უბედურობასა, ყველა თავიანთ შეცდომილებასა. ᲗᲣ სახლი დაეწვის იმათა, თუ ვაჭრობა ცუდად მიდის, თუ ცუდი მოსავალი მოვიდა, თუ პური ძვირია—ყველაფერში დამნაშავეა მმართებლობა. ᲔᲡ რეთი იყო მეძეხვე ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲪᲐ. ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲘᲡ დროს (*) ის უცქერდა თავის თავს, როგორც მმართებლობის მსხვერპლსა. რამდენიმე დაწვამ აღაოხრეს მისნი პურის საცავნი, ცოლი მისი მოკვდა და დაუტევა იგი შვიდი შვილის მამად; მართლა სამწუხარო მდგომარეობაა; მაგრამ ამაში რა დამნაშავენი არიან ᲙᲐᲠᲚᲔ მეათე და ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲔᲚᲘ? ᲒᲐᲠᲜᲐ ᲚᲐᲑᲔᲕᲛᲐ არ დაახანა და ყველა თავისი უბედურება მმართებლობას დააბრალა. მას დაუწვეს მისი საკუთრება მისთვის, რომ იმას აღმორჩევითი უფლების საშუალება წართმეოდა; მას სდევნიდნენ, სჯიდნენ არა მისის ბრალეულობისთვის, არამედ ფრიად პროგრესსიული (წინ მავალი) ჰაზრებისთვის.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲚᲐᲑᲔᲕᲘ ჩავარდა მომრიგებელი მოსამართლის ხელში ცემისა და ჩხუბისათვის და ყოველთვის დამნაშაევედ გამოვიდა; ამან უფრო მომეტებულად ჩაუდო მას თავში აზრი, რომ მას ყველაფერში სდევნიან. ᲘᲡ არას დროს არ წარმოიდგენდა, რომ მხოლოდ მისი გაუბრთხილებლობა იყო მიზეზი მის უბედურებათა; სასამართლოს გარდაწყვეტილებაში ის ხედავდა იმავე მტერობითს ძალასა, რომელიც ანადგურებდა ცეცხლითა მის ქონებასა; ისა ჰრაცხდა თავის თავსა მსხვერპლად ბილწისა შეთქმულებისა, იმ განზრახვით, რომ მოაკლონ მას მოქალაქობითი უფლებანი, მოჰკლან მასში პოლიტიკის კაცი.

ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ სიგნმა 6 იანვარს დააყენა გამომძიებლები, მათის ჰაზრით, ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ გზაზე, ᲚᲐᲑᲔᲕᲘ მაშინვე დაიჭირეს და, დაჟინებისამებრ თავი პროკურისა, მეტცისა, დაწყობილ იქმნა ახალი გამოძიება;—საჩქაროდ გამოჩნდნენ საბუთიანი მიზეზებიც. მოწამე მალვამ აჩვენა, რომ იმ ღამეს, როდესაც მოხდა ეს შემთხვევა, იქნებოდა პირველი საათი შუაღამის უკან, მან რაოდენჯერმე გაიარ-გამოიარა ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡ სახლის წინ და შენიშნა, რომ იმის კარები დაუყენებლად ხან იღებოდა და ხან იხურებოდა. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ სულ ბოლოს გაიარა, ეს კარები გაიღო ყურამდის და ᲚᲐᲑᲔᲕᲘ გამოვიდა რა გარეთ მარტო პერანგა, ჰკითხა მას რა ამბავია? მალვამ უამბო მას, რაც მოხდა ᲑᲔᲜᲣᲐᲡ სახლში; მაშინ ᲚᲐᲑᲔᲕᲛᲐ გაჯავრებით ჩაკეტა კარები და ათი მინუტის შემდგომ ის ნახეს თავის ცოლით იმ ადგილს, სადაც მოხდა შემთხვევა. მეორე მოწამემ სთქვა, რომ იქმნებოდა ორი საათი შუაღამის უკან, რომ მან დაინახა ვილაც კაცი, რომელიც მირბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა; მას თავზე ეხურა თეთრი არახჩინი და ეცვა მახოხის ფერი ჯუბა. ᲔᲡᲔᲜᲘ არ იყვნენ დამტკიცებანი, არამედ მხოლოდ ეჭვნი, რომელნიც უფრო და უფრო დიდდებოდნენ ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡ ხელით დაწერილი უსახელო წერილითა. ᲚᲐᲑᲔᲕᲘ წარადგინეს ᲐᲡᲘᲖᲜᲘᲡ ᲘᲠᲓᲔᲜᲘᲡ სასამართლოში და აქ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ 1830 წელსა გამართლდა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ნაფიცთ ხმები ტოლად გაიყო: ექვს-ექვსად.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ გამართლება ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡᲐ არავის არ იამა, რადგანაც ყველას ეჭვი ჰქონდა იმის ბრალეულობაში. მაინც ᲚᲐᲑᲔᲕᲘ სრულებით გაანთავისუფლა კანონმა სასჯელისაგან, მარგრამ თითონ არა ვითარი გაფრთხილება არ მოიხმარა ამ საქმეში. ᲘᲛᲐᲡ უნდა აეხსნა უსახელო წიგნი, რომელშიაც ᲑᲔᲜᲣᲐᲡ მამას მოკვლას ემუქრებოდა. ᲒᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ პოლიციის სასამართლომ, რომელი დაჯერელული იყო ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡ ბრალეულობაშია, გარდასწყვიტა, რომ ᲚᲐᲑᲔᲕᲘ ხუთი წელიწადი ჩაესვათ საპყრობილეში და ათს წელიწადს პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფილიყო. ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡ საჩივარი ესრეთ გარდაწყვეტილებაზედ არ იქმნა შეწყნარებული; განაჩენიც დამტკიცდა.

ᲘᲛ წამში, როდესაც სასამართლო ადგენდა ესრეთს სასტიკს განჩინებასა, ᲚᲐᲑᲔᲕᲘ, აღელვებული და გულ დამწვარი, ადგა თავის ადგილიდამ, გაუპყრა ხელი ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲐᲡა და დიდის ხმით სახალხოდ წარმოსთქვა: „ᲔᲭᲕᲘᲪᲐᲕ წინაშე ᲦᲕᲗᲘᲡა და კაცთა, რომელ ᲑᲔᲜᲣᲐᲡ ᲪᲝᲚᲘᲡ მკვლელი გამოჩნდება თხუთმეტ დღეში და რომ ეს კვლა სხვას არა ვის არ მოუხდენია, ᲤᲠᲘᲓᲔᲠᲘᲙᲡა და ქალწულ ᲤᲔᲨᲔᲠᲘᲡ მეტსა“.

ᲐᲛ გვარი შეურაცხებისთვის და ცილის წამებისთვის ᲤᲠᲘᲓᲔᲠᲘᲙᲛᲐ და ᲤᲔᲨᲔᲠᲘᲡ ასულმა მოითხოვეს დაკმაყოფილება ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡაგან. ᲐᲛᲘᲡთვის ᲚᲐᲑᲔᲕᲘᲡ გადაუწყვიტეს ჯარიმად: ექვსი თვე დატუსაღება და ოცდა ხუთი ფრანკი, ზარალისთვის ორასი ფრანკი და ლუიზა ᲤᲔᲨᲔᲠᲘᲡთვის დასაკმაყოფილებლათაც სამასი ფრანკი სხვა გადაახდევინეს.

ᲚᲐᲑᲔᲕᲘ იჯდა საპყრობილეში დანიშნულს ვადამდისინ და კაცობრივი მართლ-მსაჯულება ჰრაცხდა თავის თავსა დაკმაყოფილებულად. ᲐᲛ დროს უცებ ახალმა შემთხვევამ მოულოდნელად მიაყენა ნათელი ᲕᲣᲖᲘᲔᲠᲘᲡ შემთხვევასა.

21 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ 1831 წელსა ორი ახალგაზდა კაცი ღამის თერთმეტ საათზედ, რამდენიმე სხვა და სხვა სასტუმროებში სიარულის შემდეგ, მივიდნენ ვინმე ᲕᲣᲖᲔᲜᲘᲡ სასტუმრო სახლში, სადაც დააწერინეს თავიანთი სახელი. ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲙᲚᲔᲛᲐᲜ, 18 წლისა, ნოტარიუსის კლერკი (ანუ პრიკაჩიკი) ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ, და ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲝᲑᲔᲠᲘ, 20 წლისა, საბაჟოს ჩინოვნიკი, დაბადებული და მუდმისად მცხოვრები ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ.

ᲑᲐᲐᲢᲐᲠᲔᲡ რა ᲕᲣᲖᲔᲜᲗᲐᲜ ღამე, ისინი გამოვიდნენ ხუთის და ექვსის საათის შუა და წავიდნენ დე ᲑᲔᲜᲘᲡ სასტუმრო სახლში, რომელიც ეჭირა ვისმე ᲭᲝᲑᲔᲠᲡა; სჩიოდნენ რა ცუდად ღამის გატარებაზედ ᲕᲣᲐᲖᲔᲜᲗᲐᲜ, სადაც ვითომ მათ აწუხებდნენ ბაღლინჯოები, იმათ სთხოვეს თავისთვის საკუთარი ოთახი. ᲘᲡᲘᲜᲘ შეიყვანეს მერვე ნომერში. ᲘᲛ ოთახს, რომელიც იყო მობმული N 7 ოთახზედ, ჰქონდა ორი კარი. ᲔᲠᲗᲘ გადიოდა მე—7 N-ში მეორე კარზედ, დერეფანშია. შევიდნენ რა ოთახში, ერთი მათგანი მივარდა დივანსა, მეორე დაწვა კრაოტზედ. შუადღის დროს ᲛᲘᲜᲪᲘᲡ გამოვიდა. ᲘᲡ თითქოს გაპარვით წავიდა და მეტად აღარ მოსულა. ᲘᲛᲘᲡ ამხანაგი კი არ გამოჩნდა საღამოს შვიდ საათამდინ, და მასპინძლებმა შეუგზავნეს მოსამსახურე საკითხავად, ხომ არა უნდარაო იმას. მოსამსახურემ ნახა, რომ კარები, რომელიც გადიოდა დერეფანში, დაკეტილი იყო, დაუბრახუნა და დაუძახა რამდენჯერმე მდგმურებსა, მაგრამ ხმა არ გასცეს; მერე მან გაბედა შესვლა ოთახში მეშვიდე ნომრის კარებითგან, და როგოც რომ შესდგა ფეხი კარებში, მაშინვე დაინახა გვამი მოკლული ყმაწვილი კაცისა.

ᲒᲕᲐᲛᲘ, დაფარებული პირსახოცითა, იდვა იატაკზედ დერეფნის კარებიდგან სამ ფუტზე მოშორებით; ზურგი მოკლულისა მიყუდებული იყო კედელზედ. ᲣᲔᲚᲨᲘ მას ჰქონდა დაჭრილობა სამი დიუმი სიღრმით და შვიდ-ნახევარი სიგანით. ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ მომხდარი იყო უთუოდ რომლითამე კარგათ გალესილი მჭრელის იარაღითა; ლოყებზედ, ტუჩებზედ და თითქმის თავზედა და ხელზედაც უპოვნეს ბევრი სხვა დაჭრილობა სხვა და სხვა სახისანი და ერმანეთზედ გადაჯვარედინებული; ყველა დაჭრილობას ეტყობოდა, რომ ერთი იარაღით იყო მომხდარი. ᲭᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘᲗ ყელის დაჭრილობა თუმცა იყო საკვდინე, მაგრამ მაინც მსხვერპლს რამდენსამე მინუტს შეეძლებოდა წინააღმდეგობა თავის მკვლელთან; გარნა დაყვირება კი არ შეეძლებოდა ამიტომ რომ სასა გაჭრილი ჰქონდა. ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ მოსამსახურეებმა აჩვენეს, რომ მთელს ღღეს მათ არ გაუგონიათ იმ ოთახიდგან არა ვითარი ცუდი ყვირილი.

ᲝᲗᲐᲮᲘᲡ იატაკი, ყველა ოთახში მყოფი სახმარი ნივთი და თითქმის კედლებიცა გაწინწკლულები იყვნენ სისხლითა. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ მოვიდა პოლიცია პროტოკოლის შესადგენად, მაშინ დივანზედ იპოვეს ქოთანი, რომელშიაც იდგა ცოტა შარდი სისხლში არეული. ᲐᲛᲐᲜ აფიქრებინა რომ მკვლელს ხელები წყლის უქონელობისა გამო შარდით დაებანა. ლოგინზედ იპოვეს ნახევარ თაბახი შეკეცილი თეთრი ქაღალდი; შეკეცის სახისამებრ შეიძლებოდა ეფიქრებინათ, რომ იმაში გახვეული ყოფილიყო რაღაც ოთხ-კუთხიანი საგანი, სამართებლის ყუთის მსგავსი. ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ კარ ბი, რომელიც გადიოდა დერეფანში, კლიტით დაკეტილი იყო და გასაღები კი წაღებული.

მოკლულთან ვერაფერი ქაღალდი ვერ იპოვეს, ვერცარაფერი ბარათი, ვერც რამე საგანი, რომლითაც შესძლებოდათ იმის ცნობა. ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ მოწმებმა სთქვეს, რომ მოკლული ერთ იმ პირთაგანსა გავს, რომელნიც ამ შემთხვევის წინა დღეს მოვიდნენ ერთად ᲭᲝᲑᲔᲠᲗᲐᲜ, სადა დაიჭირეს მათ მერვე ნომერი. ᲑᲖᲐᲛᲘ წაიღეს ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ და წარადგინეს მორგაში; რამდენსამე დღეს შემდეგ უსახელო წერილმა აუწყა გამომძიებლებს, რომ ის გვამი იყო ვინმე ᲭᲝᲖᲔᲤ ᲤᲠᲝᲛᲐᲯᲘᲡა, 17-ის წლის ყმაწვილის, ვაჭრის შვილისა, რომელიც ჰყიდის ღვინოსა და სცხოვრობს ᲕᲘᲚᲔᲢᲨᲘ.

ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ამისა გამომძიებლებმა შეიტყეს, რომ ᲭᲝᲖᲔᲤᲡ ემსახურნა პრიკაშჩიკად წიგნების გამსყიდველ ᲕᲐᲚᲚᲔᲡთან და ერთს დროს ჰქონოდა სასირცხვილო კავშირი ერთს ყმაწვილ კაცთან, სახელად ᲤᲠᲘᲓᲔᲠᲘᲙ ᲑᲔᲜᲣᲐᲡთან, რომელიც არის უნცროსი შვილი ᲕᲣᲖᲘᲔᲠᲘᲡ მომრიგებელის მოსამართლისა. ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ დედის სიკვდილისა, მამას გაეგზავნა ᲤᲠᲘᲓᲔᲠᲘᲙ ᲑᲔᲜᲣᲐ ᲜᲐᲜᲡᲨᲘ სასწავლებლად ერთს ნოტარიუსთან. ᲜᲐᲜᲡᲨᲘ ის ატარებდა თვიდ უწესო ცხოვრებასა, ჰფლანგავდა ფულსა არა შეძლების გვარად, ძალიან ქეიფობდა და დიდ ფულზედ თამაშობდა ქაღალდს.

ᲑᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲜᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ ᲑᲔᲜᲣᲐ, ნაცვლად მისა, რომ ცდილიყო ნოტარიუსთან, როგორც ჰსურდა იმის მამასა, სრულებით მიეცა უქმს და განთესილს ცხოვრებას,

---

(*) ᲑᲐᲥᲝᲡ გუბერნიაშია.

(*) 1814 წელსა, როდესაც ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ტახტზედ ისევ ᲑᲣᲠᲑᲝᲜᲔᲑᲘ უნდა აეყვანათ. ᲠᲔᲡᲢᲐᲣᲠᲐᲪᲘᲐ არის უწინდელი სამეფო დინასტიის (გვარეულობის) აღყვანა ტახტზედ.

დადიოდა სათამაშო სახლებში, გარეშემოიხვია უვარგისნი პირნი და მათის თანაშემწეობით ჩამოვიდა თვით დაბალს ხარისხზედ უძღებებისა და განრყენილებისა, სადამდისაც კი შეუძლიან კაცს ჩამოვიდეს. ერთხელ ბენუა შეხვდა ახალ გაზდა ჭოზეფ ფრომაჟსა; მისმა მხიარულმა, ხასიათმა და მშვენიერმა შეხედულობამ აღძრეს ბენუას შორის ცუდი გულის თქმა. ჩვენ არ აღვწერთ, თუ რა ცდუნებაებისა და განცდის გზით მოახერხა ბენუამ ამ კაცის თავისადმი მიზიდვა. ის კი უეჭველია, რომ ფრომაჟი სრულებით მიეცა მას და ყოველგან თან დასდევდა ხოლმე მოსამსახურის მსგავსად.

ფრომაჟი ეკუთვნოდა ერთს ძალიან პატიოსანს სახლობასა; უმფროსი ძმა მისი იყო აფიცრად ქამბრეში. ის წავიდა მის სანახავად და ბენუაც თან წაიყვანა. ძმამ გაკვირვებით იხილა მათი დაახლოვება ერთმანერთთან, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა ნამდვილი ჰაზრი მისი. საკვირველმა კავშირმა ჭოზეფისამ ბენუასთან, ამ უკანასკნელის გულუხვად ფულის ფანტვამ და უფლებამ მის ძმაზედ ძალიან შეაწუხეს აფიცარი. მან გამოჰკითხა ჭოზეფს ყოველი ფერი და იმის ორ აზროვანი პასუხებისაგან სცნა, რომ ბენუა იყო რაღაც რამ, უბრალო მოქეიფეზედ უცუდესი. ფრომაჟმა უნებლიეთ ფრიდრიკ ბენუას გამოტეხაზედაცა სთქვა თავის ძმასთან; ამის გამო აფიცარმა აიღო ეჭვში, რომ ბენუას სულს ამძიმებდა რაღაც დაფარული გარდახდომილი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფრომაჟში აღიძრა პატიოსნების ნაბერწკალი, განშორდა გარყვნილ ბენუას და შეევიდა პრიკაზჩიკად ერთ მეწიგნე ვალლესთან.

ახლა მიუბრუნდეთ ვუაზენის სასტუმროში მომხდარ უბედურებას. წიგნის გამსყიდველი ვალლესი და მხვა მოწმების ჩვენებაების ძალით უნდა ეფიქრებინათ, რომ 21 ივლისსა, ესე იგი იმ შემთხვევის წინა დღეს, ფრომაჟი იყო პალეროიალის ბაღში ფრიდერიკ ბენუასთან ერთად.

ფრომაჟის ამხანაგი, ტირონი, შეხვდა მათ რამდენჯერმე და შენიშნა, რომ იმათ რაღაცა გაცხარებული ბაასი ჰქონდათ რამდენსამე საათს. ხუთ საათზე, თვით ფრომაჟის სიტყვით, იმათ ტირონისთვის სოფელში ერთად წასვლის პირობა მიეცათ. აგრეთვე უფალი რენოც შეხდომოდა იმ დღეს ფრომაჟსა; ის სადღაც მიეშურებოდა და კითხვაზედ: სად მიეშურებიო? ეთქვა მისთვის, რომ „მიდის ვერსალში ღამის გასატარებლად თავის ამხანაგთან“.

ვერსალის სასტუმრო სახლების მასპინძელებმა აჩვენეს, რომ მოკლული ყმაწვილი კაცის ამხანაგს მარჯვენა მხარეს პატარა კუზი ჰქონდა; ბენუაც ცოტად კუზიანი იყო.

ამ ჩვენებათა შემდგომ იწყეს ბენუას ძებნა და დაიჭირეს იგი 25 ივლისსა სასტუმრო სახლში, ჭანჭაკ რუსოს ქუჩაში.

მან მაშინვე სთქვა, რომ ჰქონდა კავშირი ფრომაჟთან, მაგრამ მასთანავე დაუმატა, რომ ორი თვეც არის, რაც არ უნახავს თავისი ძველი ამხანაგი. სასტუმრო სახლის მასპინძელმა (ჭან-ჭაკ რუსსოს ქუჩაში) აჩვენა, რომ 21 ივლისის ღამეს ბენუა არა ყოფილიყო შინა. ბენუაც უარს არ ამბობდა იმაზედ, რომ იმ ღამეს ის არა ყოფილა თავის ოთახში, მაგრამ ის ამტკიცებდა, რომა იმ ღამეს ის არც ვუაზენის სასტუმრო სახლში ყოფილა. ის აჩვენებდა, რომ გაატარა ღამე 21-დგან 22 ივლაც მეძავ დედაკაცთან, რომლის სახელი მან იცოდა, მაგრამ მისი ვინაობის თქმა კი ვერ შეეძლო. ბოლოს, როდესაც გამოძიებლები მიუცილებლად ითხოვდნენ, რომ დაწვლილებით აღეწერა მას, თუ როგორ გაატარა ეს ღამე, მან მიუგო, „რომ აქვს თვისი მიზეზები, რათა არ განუცხადოს მართებლობას, თუ რა სახით გაატარა მან ეს ღამე“.

„ჩვენ იმიტომ გაძლევთ ამ კითხვებსა, უთხრა მას გამომძიებელმა, რომ თქვენი მეგობარი ჭოზეფ ფრომაჟი მოკლული იქმნა 22 ივლისსა ვერსალში;—მკვლელის გამოსაჭრია მისთვის ყველი სამართებლითა.

აი საკვირველი! სთქვა ბენუამ სრულიად მშვიდის ხმითა, დედა ჩემიც ყველ გამოჭრილ იქმნა სწორედ ამ სახით!

ბენუა წაიყვანეს მოპისში; გვამი ფრომაჟისა ჯერ იქვე იდვა. ბენუა უცქეროდა მას სრულიად გულ-გრილად, „ეს მგონია ფრომაჟი არ არის,“ სთქვა მან. მაშინ მას აჩვენეს პერანგი და ყელსახვევი, რომელნი ეკუთვნოდნენ ბენუას და რომელნიცა ბენუას მიეცა ფრომაჟისთვინ. ის მაინც კიდევ ამტკიცებდა, რომ ეს ფრომაჟი არ არისო. აუღეს ყელი მოკლულსა და აჩვენეს ბენუას ორი გვრიტი, გამოსახულნი კანზედ, სახსოვრად მათის საკდემელის კავშირისა.—„თქვენ წოლილხართ ფრომაჟთან ერთად, უთხრეს მას; არ შეიძლება, რომ თქვენ როდისმე არ შეგემცნიოთ ეს ნიშანი“. მაშინ როგორღაც წაბოგონდა ფრიდრიკსა და მისმა აღუმღვრეველმა დამშვიდებამ იწყო ცხადად დატეევება მისი.

— რა დაგემართათ, თქვენ ყვითლდებით? უთხრა მას ერთმა ჩინოვნიკთაგანმა, რომელიც ამ შემთხვევაში დაესწრო.

რა სისულელეა, წამოიყვირა ბენუამ;—მე ნებას არ მოგცემთ, რომ თქვენ ჩაწეროთ ეს პროტოკოლში.

შემდეგ ბენუა შეიყვანეს ვერსალში იმ ოთახში, რომელშიაც მოხდარიყო კვლა. ეს ოთახი გაწინწკლული იყო სისხლითა. ის იყო იმავე უწესოებაში, როგორც ჰპოვეს გამომძიებლებმა. ბენუა არ შეიკმუხნა. მას აუხსნეს, თუ როგორ სახით უნდა მოხდარიყო შესაძრწუნებელი ბრძოლა; იმას დაწვლილებით უთხრეს ის ხანგრძლივი ტანჯვა, რომელიც უნდა გამოეცადნა უბედურს ფრომაჟსა სიკვდილის წინათ. თუნდა რომ ბენუაც არა ყოფილიყო მკვლელი, მაინც ეს გვამი, ტანჯვისაგან სახე შეცვლილი, იყო გვამი მისის მეგობრისა! ეს სისხლი, რომელსაც შეებღალა კედლები, იატაკი და სახლის სამკაული, იყო სისხლი მისის მეგობრისა. მაგრამ ფრიდერიკ ბენუა სჭვრეტდა და ისმენდა საშინელს მოთხრობასა აღუმღვრეველის დამშვიდებითა,—ეს კიდევ არაფერი, ისე გულგრილად იყო, რომ სთქვა კიდეცა ჯერ არა მიჭამია რაო. მას მოუტანეს წვენი და იმანაც მშვიდობიანად იწყო ჭამა იმ სტოლზედ, რომელიც მოსვრილი იყო სისხლითა!

ამასობაში გამოსჩნდნენ ახალნი ბენუას გასამტყუნებელნი მიზეზნიცა. ფრომაჟის, მაფრაშაში წიგნების გამსყიდველმა ვალლემ იპოვა მრავალი სხვა და სხვა ქაღალდები და წერილები. ერთი ამა წერილთაგანი, დანიშნული: „პარიჟში 2 ივლისსა 1831 წელსა“ და მიწვერილი ფრიდრიკ ბენუასთან, რომელიც იმ დროს ყოფილიყო ვუზიერში, იყო შემდგომის ჰაზრისა: „თუმცა შენ მკცრად ამიკრძალე ზენთან წიგნის მოწერა, მაგრამ ვბედავ შენის ბრძანების დარღვევასა. ამის ქმნას მაიძულებს მე ჩემი ფრიად გაჭირვებული მდგომარეობა. მალე უნდა თავი დავანებო ჩემს ადგილსა, ამიტომ რომა მე არა მაქვს თითქმის შესაფერი ტანისამოსი, და უშესაფერ ტანისამოსოთ კი იქ სამსახური არ შეიძლება. იმედი მაქვს, არ დამიტეევებ ამ სასოწარკვეთილებაში,—ხომ თვით შენ მიმიყვანე აქამდის, იმიტომ შენ მოვალე ხარ შემეწიო კიდეცა. საჭირო არ არის გითხრა, რომ ჩემს დედმამას აღარ უნდივარ მე, მათ იციან შენი ჩემთან კავშირი. მე სხვას არა ვის არ შემიძლიან მივმართო, თუ არ შენა; მე დიდად მიჭირს ფული და შენც რა საკურველია არ დაიშურებ ესრეთს წყალობას;—50 ეკუს (*) შეუძლიან გამომიყვანოს ჩემის შეჭირვებულის მდგომარეობიდგან; მე ველოდები ამ ფულსა ერთის კვირის განმავლობაში; თუ არ გამომიგზავნი, მაშინ მე წავალ შენ მშობელთან და განუცხადებ მათ იმ საიდუმლოსა, რომელსაცა შენ უთუოდ უმალამ იმათ. მე არაფერი არ დამაყენებს; ცხრას გამოვდიეარ და მე გაგტეხ შენს გარდახდომილებაში არა მარტო შენ დედმამის წინ, არამედ ყოველ შენ მცნობების წინაცა. შენ დამიკარგე პატიოსნება და მეც მაგიერს გიზამ, თუ არ გაასწორებ შენს დანაშაულობას იმის გამოგზავნით, რასაცა გთხოვ, რომელშიაც მე ესაჭიროებ. დარწმუნებული იყავ ჩემს მადლობაზედ და ჭეშმარიტს მეგობრობაზედ, შენი მეგობარი.

ჟ. ფრომაჟი.“

როგორი უცები გამოჩენაა. იყო თუ არა წერილი გადაწერილ თეთრად და გაგზავნილი კუთვნილობისამებრ, სულ ერთია,—იმას მაინც შეეძლო ყოფილიყო გამომძიებლების თვალში ჩინებულ სამხილებლად. მაგრამ თუ ამ წერილის თეთრი მიცემული იყო ფოჩტაში, მაშინ ყოველივე აშკარა იყო: ისიც აშკარა იყო, რომ ბენუა უთუოდ უნდა აჩქარებულიყო, რომ იმისი დედის კვლა მართლა არ გაემხილა ფრომაჟს.

ყველა ამ მხილებაებს მიემატება კიდევ წიგნების გამსყიდველის ვალლეს ჩვენებაცა. ვალლემ აჩვენა, ვითომც ფრომაჟმა რამდენიმე ხნის წინად თავისს სიკვდილამდის, როდესაც ვილმაც დასწამა იმას უპატიოსნება, გამოუცხადა, რომ თუ ის ყოფილიყო უპატიოსნო კაცი, განა შეეძლო იმას ჰქონოდა 6,000 ფრან. ოქროები მიბარებული იმის მეგობარი ბენუასგან. ეს ფულები შენახულნი იყვნენ მაფრაშაში, ხოლო ბენუას მეუღლისაგან მოპარული ფულიც სწორედ 6,000 ფრანკი იყო ოქროებითა. შემდეგ გაშინჯეს ბენუას სადგომი პარიჟში, იმას დაჭერის დღესვე, და ორი სამართებლის ბუდე იპოვეს მაგრამ შიგ ერთის სამართებლის მეტი არ იდვა; გარდა ამისა მას უპოვნეს ორი ათას ორასი ფრანკი ოქროებით, ოთხად შეხვეული გაზეთი „Constitutivonce“-ამის ნახევები (6 იანვრიდამ 1838 წლისა), რომელსაც მისი მამა იწერდა ხოლმე ვუზიერში.

ფრიდერიკ ამტკიცებდა, რომ ეს ფული ზოგი მამისგან აქვს გამოგზავნილი და ზოგი იმას მთუგია. მაგრამ დაამტკიცეს, რომ ის თამაშობაში ყოველთვის აგებდა ხოლმე და აგრეთვე იმას არ შეეძლო თავისის სახლობიდგან დიდი ფულის მიღება, მეტადრე ოქროებით.

მაშინ იმანა სთქვა, რომა დედის მოკვლის შემდეგ რამდენიმე დღეს უკან იმან იპოვა შინ ერთს ყუთში ფული 3,800 ფრ. ოქროებათ, რომელიც შენახული ჰქონოდა იმის დედასა, და რომლიდგანაც იმას ამოელო 1,500 ფრ. მამის შეუტყობინებლად. ამავე დროს, სამსჯაროომ მიიღო ცნობა, რომ ლუიზა ფეშერი მოკვდაო პარიჟში რამდენიმე დღის უკან მისი ბიჭაშვილის დაჭერისა. ამ ქალმა დიდიხანია, რაც დუტევა ბიძის სახლი, წავიდა სატახტო ქალაქში და იქ მეძობდა. შემდეგ ჩავარდა მადელონეტში, იქ გახდა ავათ და ამ ავადმყოფობის დროს ჭსჩიოდა რაღაზედაცა, აყვედრიდა ვილასაცა, მაგრამ ამისი მიზეზი ვერა ვინ ვერ გამოიცნო. იმისი მწუხარება უფრო გაძლიერდა თვისი სიკვთილის მოახლოვების დროს; მაშინ იმან გაბედა საიდუმლოს გამოცხადება; რომელიცა სტანჯავდა მაა და გაუტყდა მომველელ დედაკაცებსა, რომ მან ერთად თავის ბიძაშვილისა თანა მოჰკლა თვისი მამიდა 6,000 ფრანკის გულისათვის“

ამ სახით ცოტ-ცოტად საქმე გამოსჩნდა. ამას ყოველსა მიემატა კიდევ ლაბევის ხმაცა, თვისის სატუსაღანოდგან, რომელმაც შეიტანა სამსჯაროში საჩივარი თავის უკანონო დამწყვდევაზედ და მიუმატა საჩივარსა გრძელი განმარტებითი წერილი. ეს წერილი თავდებოდა ამ სახით: „მე დამბრალდა კაცის კვლა, მე წარვუდექ ასსიზნის სამართალსა და გავმართლდი მხოლოდ უბრალოს შემთხვევით: ნაფიცთ ხმების თანასწორად გაყოფისაგან. მაინც ჩემზედ შესდგა როგორიღაც დაუჯერებლობა, რომელიც დაუცხრომელად მდევნიდა მე და რომელსაც ზოგიერთა პირნი, თავიანთის თავ-მოყვარეობითის განზრახულებისათვის, სცდილობდნენ გაებერათ და კიდევ უფრო გაეძლიერებინათ. თვით მსაჯულნი სრულებით არა ჰმალავდნენ თვის მიუნდობლობასა ჩემდა მომართ და კიდევ ეხლახან კოროლის პროკურორს იმდენი კადნიერება ეხმარა, რომ ეთქვა ჩემი ცოლისთვის: „თქვენი ქმარი გაამართლეს, ჰაგრამ ჩვენ ყველანი დაჯერებულნი ვართ მისს ბრალეულობაში“. ეს კიდევ არაფერი. მე მსურდა შევწეოდი ჭეშმარიტების გამოჩენას და ამ განზრახვით დავწერე უსახელო წიგნი, მაგრამ ამ წიგნმა მევე გამცა. თუმცა ნაფიცთ გამამართლეს, მაგრამ უსახელო წიგნისთვის კი მე წარმადგინეს გამმართველი (მომრჯულებელი) პოლიციის სასამართლოში და იქ გადმიჭრეს ხუთი წელიწადი საპყრობილეში ჯდომა და ათს წელიწადს პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფნა. ხუთი წელიწადი სატუსაღოში დამწყვდევა!.. ვითომ რომ ეს არ იყო ულმაღლესი ხარისხი დასჯისა, მე კიდევ მგზავნიან სამოცლიიზე (*) ჩემის სამშობლო ქალაქიდამ, მაშორებენ ჩემს ცოლშვილს. უეჭველად მსაჯულნი, რომელთაც ესრედ გარდაწყვიტეს ჩემი საქმე, და მართებლობა, რომელმაც მიმცა ესრეთს სასჯელს, ამობდნენ, როგორც კოროლევის პროკურორი ვუზიერა: „ის გაამართლეს, მაგრამ დამნაშავე კიარისო. მაგრამეხლა დამნაშავე ვინც არის აშკარაა. 18 თვეს შემდგომ დედის მოკვლისა, ფრიდერიკ ბენუა ჭკლავს თავის მეგობარსა. ამაზედ, როგორც მე მესმა, ყოველნი საჭირონი მხილებანი და დამტკიცებანი არიან. სძებნიან რა მიზეზსა, რომელმაც განაღვიძა ბენუა ახალგაზდა ფრომაჟის მოსაკვლელად, მერე ასე ცხადად, ასე შეუპოვრად და ასე საშინლად, ჰპოვებენ წერილს, ასე ბედნიერი შემთხვევით შენახულსა. ამ წერილში ფრომაჟი ეუბნება ბენუას: „მე გამოვაცხადებ თქვენს საიდუმლოსა... მე ვეტყვი თქვენს ბოროტმოქმედებას მამა თქვენსა. ამ დამუქრებაზე ჰკიდია ბენუას ბედის-წერა, ამისთვის გაუბრთხილებელმა ყრმამ რამდენსამე დღეს შემდეგ შესწირა თვისი სიცოცხლე!

(შემდეგი იქნება).

ᲙᲔᲠᲫᲝᲞᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ნ. წინამძღვრის შვილისა და ბ. ჯაყელის

ახლად გაღებული მაღაზია

იმყოფება ტუკიის ხიდზე, უ. მირზოევის დუქნებში N N 12 და 13-ში.

ამ მაღაზიაში ისყიდება:

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ:

ჩაი, გამოჩენილი ტუს. ვაჭრის ᲝᲠᲚᲝᲕᲘᲡ მაგაზიიდგან;

შაქარი და ყავა სხვა და სხვა ღირსებისა.

ᲒᲠᲐᲜᲘᲪᲘᲡ ᲐᲡᲗᲛᲔᲚᲔᲑᲘ:

ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲡᲙᲘ, ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘ, ᲠᲝᲛᲘ, ᲙᲘᲛᲔᲚᲘ, ᲮᲔᲠᲔᲡᲘ დი სხვ.

აგრეთვე:

ᲒᲝᲚᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲙᲐ, ᲑᲔᲕᲠᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲬᲜᲘᲚᲘ (გრანიცისა), ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ და სხვა წვრილმანი საავაჭრო.

ამავე მაგაზიაში ისყიდება:

ᲡᲐᲥᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲝ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲗᲐ

და თავის მორთულობით.

მოხსენებული მაგაზიის პატრონები დარწმუნებულნი არიან—მოიპოვებენ მსყიდველთაგან ნდობასა თავიანთ საავაჭროს კარგი ღირსებითა და რიგიანის ეაჭრობით, და იმედი აქვსთ საზოგადოება არ დაგდებს მათ უყურადღებოთ.

(*) ლიე არის 3 ვერსტი.

(*) ეკიუ არის ფრანგული ვეცხლი მანეთი, რომელიც ეთანასწორება სამს ფრანკსა, ხოლო ფრანკი ეთანასწორება ჩვენს ხუთ შაურსა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го іюня 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.